ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4061022

ნომერი: AR1612264

თარიღი : 03.07.2018

გაცემის თარიღი : 10.07.2018

გაცნობის თარიღი : 10.07.2018

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მირცხულავა , N 9-11 ; ქალაქი თბილისი , ალიო მირცხულავას ქუჩა N11ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინი თავხელიძე პ/ნ 60001139098
- ქუთაისი მ.კოსტავას ქ. N 84 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს სვეტი დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404505576
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თორნიკე ჯანელიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60001033836

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №4040514
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 28.06.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს ქ. თბილისში, ქუჩა მირცხულავა, N9-11; ქ. თბილისი, ალიო მირცხულავას ქუჩა N11ა-ში (საკ კოდები.: 01.13.04.017.105), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II სექტორი V-VI და VII-VIII ბლოკების შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 10 ივლისიდან 2020 წლის 10 ივლისის ჩათვლით.
3. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:
3.1. საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
3.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
3.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი იმავე დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;
3.4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან.
3.5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
4. დაევალოს დამკვეთს წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 2 (ორი) თვის ვადაში, უზრუნველყოს:
ქ. თბილისში, ქუჩა მირცხულავა, №9-11; ქ. თბილისი, ალიო მირცხულავას ქუჩა №11ა-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №380 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული I, II, III და IV ბლოკების არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება.
5. წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის მითითებულ ვადაში, ასევე, სამსახურის 2018 წლის 28 ივნისის №4040514 ბრძანების მე-2 პუნქტის ,,ა'' და,, ბ'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების ამავე ბრძანებაში (2018 წლის 28 ივნისის №4040514 ბრძანება) მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის და სათანადო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად, მისი ძალაში შესვლის დღიდან.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.